საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №580
2020 წლის 15 ივლისი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრირებისა და მის მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^3 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

ეს ბრძანება, საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით, განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) საქმიანობის ადმინისტრირების, აგრეთვე მის მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებულ დროებით წესსა და პირობებს.

მუხლი 2

1. გარდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მეშვეობით სააგენტოს სერვისების მიწოდებისა (რაც, თავის მხრივ, ხორციელდება წინასწარ დაჯავშნის გზით მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით), სააგენტოს სერვისებით სარგებლობა და მომსახურების მიღება შესაძლებელია დისტანციურად, მოქალაქის პორტალის - my.gov.ge-ს მეშვეობით.
2. სააგენტოს მომსახურების მოთხოვნით განცხადებებისა და დოკუმენტაციის წარდგენისთვის აუცილებელია დაინტერესებული პირის მიერ მოქალაქის პორტალის: my.gov.ge-ს მეშვეობით ვიზიტის დროის განსაზღვრა და რიგის დაჯავშნა.

3. სააგენტო, დაინტერესებული პირის მხრიდან სატელეფონო კომუნიკაციის (ცხელი ხაზის (032) 2405405 საშუალებით) საფუძველზე, უფლებამოსილია, განცხადების წარდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში განახორციელოს დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ მისამართზე მომსახურება (ადგილზე მომსახურება). ადგილზე მომსახურებით სარგებლობა შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ განმცხადებელი 70 წლის და მეტი ასაკის პირია;

ბ) სააგენტოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

4. იმ პირებს, რომლებიც იმყოფებიან თვითიზოლაციაში ან კარანტინში, სააგენტო უფლებამოსილია არ გაუწიოს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული მომსახურება. სააგენტო უფლებამოსილია გაუწიოს მომსახურება თვითიზოლაციაში ან კარანტინში მყოფ პირებს საამისოდ მნიშვნელოვანი გადაუდებელი ინტერესის არსებობის შემთხვევებში, რისთვისაც გამოიყენებს ყველა შესაძლო ღონეს მომსახურების უსაფრთხოდ მისაწოდებლად.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უფლებამოსილი პირის მიერ გარიგებაზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება ხორციელდება დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ მისამართზე.

მუხლი 3

1. „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ან/და მასში ცვლილების რეგისტრაცია დაინტერესებულმა პირმა შეიძლება მოითხოვოს სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე (info@napr.gov.ge) შეტყობინების გაგზავნით.

2. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარდგენილი მოთხოვნა არის სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველი.

3. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს ელექტრონული ფოსტის საშუალებით წარდგენილი განცხადება შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში და მიანიჭოს მას უნიკალური სარეგისტრაციო ნომერი, რის შესახებაც დაინტერესებულ პირს აცნობებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

4. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მოთხოვნის წარდგენისას დაინტერესებულმა პირმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს მოთხოვნის შინაარსი და მიუთითოს საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, მისამართი).

5. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ან/და მასში ცვლილების რეგისტრაციის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მოთხოვნისას, დაინტერესებულმა პირმა სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე უნდა გამოაგზავნოს შემდეგი დოკუმენტების ელექტრონული ასლები:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლი;

ბ) მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის ქაღალდის ვერსიის ფოტოასლი, ასევე ნახაზის ციფრული ვერსია;

გ) მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების/მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფოტოასლი;

დ) რეგისტრაციისთვის საჭირო, მის ხელთ არსებული, სხვა დოკუმენტის ფოტოასლი.

6. ელექტრონული შეტყობინების საფუძველზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში სააგენტო გამოითხოვს ინფორმაციას/დოკუმენტაციას სხვა ადმინისტრაციული ორგანოსგან/უფლებამოსილი პირისგან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ამ მუხლის პირველი – მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული წესი, აგრეთვე, ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის რეგისტრაციაზე.

8. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის რეგისტრაციის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მოთხოვნისას, ელექტრონული შეტყობინება უნდა შეიცავდეს საზოგადოებრივი საჭიროების არსებობის დასაბუთებას. ელექტრონულ შეტყობინებას უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტების ელექტრონული ასლები:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლი;

ბ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლი;

გ) რეგისტრაციისთვის საჭირო, დაინტერესებული პირის ხელთ არსებული, სხვა დოკუმენტის ფოტოასლი.

9. ამ მუხლით დადგენილი წესით, სააგენტოსთვის წარდგენილი დოკუმენტების ფოტოასლები შესრულებული უნდა იყოს იმ ხარისხით, რომ შესაძლებელი იყოს მათი წაკითხვა.

10. დაინტერესებული პირი ვალდებულია, ელექტრონული შეტყობინების საფუძველზე სარეგისტრაციო წარმოების დაწყებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, სააგენტოს წარუდგინოს მის ხელთ არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების დედნები.

11. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული შეტყობინების საფუძველზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში სააგენტომ სხვა ადმინისტრაციული ორგანოსგან/უფლებამოსილი პირისგან მოიძია უძრავ ნივთზე საკუთრების/მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების დედნების წარმოდგენის გარეშე.

12. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული შეტყობინების საფუძველზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში სააგენტომ სხვა ადმინისტრაციული ორგანოსგან/უფლებამოსილი პირისგან უძრავ ნივთზე ვერ მოიძია საკუთრების/მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დაინტერესებულმა პირმაც სარეგისტრაციო წარმოების დაწყებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში არ წარმოადგინა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების დედნები, სააგენტო იღებს სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ გადაწყვეტილებას და დაინტერესებულ პირს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების დედნების წარმოსადგენად დამატებით განუსაზღვრავს 30 კალენდარული დღის ვადას.

მუხლი 4

სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული წარმოება ტარდება ზეპირი მოსმენის გამართვის გარეშე ან, ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში, ზეპირი მოსმენით, რომელიც გაიმართება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.

მუხლი 5

ეს ბრძანება ძალაშია 2020 წლის 15 ივლისიდან „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების მოქმედების ვადით.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**